ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში 2018-2019

ავტორიზაცია

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით №61, 7.09.2018 სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია და განესაზღვრა მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარდგენისთვის 1 წელი, ხოლო ავტორიზაციის მე-6 სტანდარტთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით მონიტორინგი 2 წლის ვადაში.

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაგეგმა ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადებისა და წარდგენისთვის, ასევე მონიტორინგისთვის განსახორციელებელი აქტივობები აწსუ-ს ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან - სამსახურის უფროსებთან, ფაკულტეტების დეკანებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან ერთად. სამუშაო შეხვედრები ინტენსიურად მიმდინარეობდა 2019 წლის მაისის, ივნისისა და ივლისის თვეებში.

2019 წლის ივლისსა და აგვისტოში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ორგანიზება გაუწია თვითშეფასების ჯგუფის სამუშაო შეხვედრებს, რომლებზეც მოხდა ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაციის თავმოყრა და ანგარიშის სახით მომზადება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში შეფასებისთვის 2019 წლის 19 სექტემბერს მიწოდებული იყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის და სამსახურების უფროსებისთვის, აკადემიური საბჭოს წევრებისთვის, ფაკულტეტების დეკანებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებისთვის გასაცნობად და შენიშვნების/რეკომენდაციების მოწოდებისთვის. დოკუმენტი წარდგენილი იყო აკადემიურ საბჭოზე. მათგან მიღებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით ანგარიში ჩამოყალიბდა საბოლოო სახით.

2019 წლის 23 სექტემბერს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში (49 გვერდი) დანართებით (49 დანართი) გადააგზავნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. 2019 წლის 28 ოქტომბერს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწსებულებების ავტორიზაციის საბჭომ განიხილა სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი ანგარიში, რომელიც

მიიღო ცნობად და აწსუ-მ შეასრულა 2018 წლის 7 სექტემბერს ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადგენილი ანგარიშის წარდგენის ვალდებულება.

2019 წლის 18 ივლისს აწსუ-ს აკადემიურმა საბჭოს დაამტკიცა აწსუ-ს ავტორიზაციის მონიტორინგისთვის მზადების სამოქმედო გეგმა (დადგენილება №80(18/19)), რასაც წინ უძღოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი აწსუ-ს სამსახურების უფროსების სამუშაო შეხვედრები.

2019 წლის ოქტომბრიდან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით დაიწყო ავტორიზაციის მონიტორინგისთვის ინტენსიური მზადების პროცესი და სამოქმედო გეგმის მიხედვით დაიგეგმა გაფართოებული სამუშაო შეხვედრები ფაკულტეტების დეკანებთან, დეკანის მოადგილეებთან და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსებთან. შეხვედრებზე განხილული იყო სტრატეგიული გეგმის შესრულებასთან და ანგარიშებთან დაკავშირებული საკითხები, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის განხორციელების პროცესთან დაკავშირებული საკითხები.

სტრატეგიული გეგმის მონიტორინგთან დაკავშირებით და პირველი ასეთი შეხვედრა შედგა და მათ დაევალათ სტრატეგიული გეგმის მიხედვით ანგარიშების მომზადება, რომელშიც

ასახავდენენ სტრატეგიული გეგმის შესრულების მაჩვენებელს ინდიკატორებისა და მტკიცებულებების მითითებით.

2020 წლის იანვარში შედგა თვითშეფასების ჯგუფთან ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის უფროსის შეხვედრები, რომლებზეც დაიგეგმა ავტორიზაციის მონიტორინგისთვის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების ეტაპები. თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა წარადგინეს ხუს-ში სამსახურების მიერ ავტორიზაციის თვითშეფასების აგნარიშში გასაუმჯობესებლ მხარეებად მითითებული და ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშები. შეხვედრებზე ასევე ისაუბრეს საკითხებზე, პრობლემებზე, რომლებიც გამოიკვეთა სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშის მომზადების პროცესში და რეკომენდაციების შესრულებისას. ამავე შეხვედრებზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაგეგმა აწსუ-ს სამსახურების ანგარიშების ეტაპობრივი წარდგენა გაფართოებულ სამუშაო შეხედრებზე. 2020 წლის თებერვალში სამსახურიებმა გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და ფაკულტეტების დეკანებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია

2018 წლის სექტემბრიდან 2020 წლის 1 თებერვლამდე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აკრედიტაციაზე წარდგენილი იყო 10 საბაკალავრო პროგრამა, 5 სამაგისტრო და 4 სადოქორო პროგრამა, 3 ერთსაფეხურიანი მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. აკრედიტებულია 8 საბაკალავრო, 2 სამაგისტრო, 3 სადოქტორო და ქართულ ენაში მომზადების პროგრამა. მათგან ახალია 3 საბაკალავრო პროგრამა „მოდის დიზაინი და ტექნოლოგია“, „ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინი“, „საშემსრულებლო ხელოვნება“, 3 სადოქტორო პროგრამა „ფილოლოგია“, „საინჟინრო ტექნოლოგიები და სისტემები“ და „სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია“. პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა 2 საბაკალავრო და 1 სამაგისტრო პროგრამას, რომელთაგან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ „ბიზნესის ადმინისტრირება“ უკვე გაიარა აკრედიტაცია, ხოლო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები მზადდება აკრედიტაციაზე წარსადგენად. აკრედიტაცია ვერ გაიარა 1 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ. აკრედიტაციის მაძიებელია 2 საბაკლავრო, 2 სამაგისტრო, 1 სადოქტორო პროგრამები და ერთსაფეხურიანი მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამები „სტომატოლოგია“, „დიპლომირებული მედიკოს/PBL”, „დიპლომირებული მედიკოსი“(ინგლისურენოვანი).

პროგრამულ აკრედიტაციასთან დაკავშირებულ პროცესებში აქტიურად იყო ჩართული 6 ფაკულტეტი:

ჰუმანიტარული - 3 საგანმანათლებლო პროგრამა;

აგრარული - 3 საგანმანათლებლო პროგრამა;

ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების - 2 საგანმანათლებლო პროგრამა;

საინჟინრო-ტექნიკური -2 საგანმანათლებლო პროგრამა;

საინჟინრო-ტექნოლოგიური - 5 საგანმანათლებლო პროგრამა;

საზღვაო-სატრანსპორტო - 1 საგანმანათლებლო პროგრამა.

აღნიშნულ ფაკულტეტებზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული იყო სამუშაო შეხვედრები, რომლებზეც განხილული იყო აკრედიტაციის სტანდარტები, აკრედიტაციის პროცედურები, საგანმანათლებო პროგრამის კურიკულუმისა და სილაბუსების მომზადება სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ჩამოყალიბება, სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა, სასწავლო კურსების ლიტერატურა, პროგრამის მიზანის სწავლის შედეგებთან და პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსებთან კავშირი, შეფასების სისტემისა და სწავლის მეთოდების ერთმანეთთან კავშირი და ა.შ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შესაბამისი ფაკულტეტების ხუს-ების და პროგრამების ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობით უზრუნველყო აწსუ-ში აკრედიტაციის ექსპერტების ვიზიტის შეუფერხებელი განხორციელება დღის წესრიგით გათვალისწინებული განრიგის მიხედვით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედი პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად პროგრამული აკრედიტაციისთვის მოამზადა და აკრედიტაციაზე წარადგინა (2019 წლის 30 დეკემბერს) 1 საბაკალავრო, 1 სამაგისტრო და 3 ერთსაფეხურიანი

პროგრამა, რომლებიც უკვე აკრედიტაციის მაძიებლადაა ცნობილი. მიმდინარეობს ხუს-ის აქტიური კონსულტაციები და სამუშაო შეხვედრები პროგრამების განმახორციელებელ პირებთან და სტუდენტებთან.

2020 წელს პროგრამული აკრედიტაცია უნდა გაიაროს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის (8 საბაკალავრო, 5 სამაგისტრო და 1 სადოქტორო პროგრამა), საინჟინრო-ტექნიკური (5 საბაკალავრო, 4 სამაგისტრო და 1 სადოქტორო პროგრამა) და საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტების (3 საბაკალავრო, 2 სამაგისტრო და 1 სადოქტორო პროგრამა), სამართლის მიმართულების (1 საბაკალავრო, 1 სამაგისტრო პროგრამა) საგანმანათლებლო პროგრამებმა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა 2019 წლის აპრილში და მასიში, ასევე ოქტომბერსა და ნოემბერში აწარმოა აქტიური საკონსულტაციო, სამუშაო შეხვედრები აღნიშნული ფაკულტეტების ხუს-ებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან და 2020 წლის 1 მარტიდან დაგეგმილი აქვს შეხვედრები პროგრამების განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან.

აკრედიტაციის ანგარიში

2018 წლის სექტემბრიდან დღემდე აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებიდან აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით 4 საბაკალავრო პროგრამას განესაზღვა აკრედიტაციის მინიჭებიდან 6 თვის ან 1 წლის ვადაში აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარდგენა. კერძოდ, 6 თვეში - საბაკალავრო პროგრამებს „მოდის დიზაინი და ტექნოლოგია“, „საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა“, „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა“, ხოლო 1 წლის შემდეგ - საბაკალავრო პროგრამას „ბიზნესის ადმინისტრირება“. აღნიშნული პროგრამების ხელმძღვანელებმა უკვე მოამზადეს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშები, რომლებიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გადამოწმდა და გადაიგზავნ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ვადების დაცვით. აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარდგენილი ანგარიშებიდან 2 უკვე მოისმინა და ცნობად მიიღო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ. წარსადგენად მზადდება 4 პროგრამის ანგარიში.

მონიტორინგი საგანმანათლებლო პროგრამებზე

2018 და 2019 წელს მონიტორინგი განხორციელდა 3 საგანამანთლებლო პროგრამაზე: საბაკალავრო პროგრამა „ინგლისური ენა და ლიტერატურა“, სამაგისტრო პროგრამები „ელექტროენერგეტიკა“ და „ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტი“. აკრედიტაციის ექსპერტების დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებით №132, 19.10.2018; №161, 09.07.2019; №162, 09.09.2019 შეწყდა სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღნიშნულ პროგრამებზე აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მონიტორინგისთვის ემზადება 2 საგანმანათლებლო პროგრამა.

სამუშაო შეხვედრა ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მართავს სამუშაო შეხვედრებს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან. საანგარიშო წლის განმავლობაში მათთან ერთად განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა ავტორიზაციის ანგარიშის მომზადება, ავტორიზაციის მონიტორინგისთვის მზადების პროცესი, პროგრამული აკრედიტაციები და მასთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა/განხორციელება ფაკულტეტებზე მოქმედი პროგრამების მიხედვით, ტრენინგები პროგრამების ხელმძღვანელებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის დაკავშირებული აკრედიტაციის სტანდარტებთან, აკრედიტაციის პროცედურებთან, ახალი ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანასთან, კვალიფიკაციის დონეების აღმწერთან, პროგრამის და სასწავლო კურსის სწავლის შედეგების დაწერასთან, პლაგიატთან და ა.შ. დაკავშირებით. ფაკულტეტების ხუს-ებთან შეხვედრებზე ასევე განიხილებოდა უნივერსიტეტში სწავლება/სწავლის პროცესებთან დაკავშირებული სხვადსხვა საკითხები. უნივერსიტეტის ხუს ფაკუკტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან ერთად ზრუნავს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დანერგვაზე.

ტრენინგი

2019 წლის 11 და 12 ოქტომბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით გაიმართა სამუშაო შეხვედრა-ტრენინგი "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, სწავლის სფეროების კლასიფიკატორი", რომელსაც უძღვებოდა განათლების განვითრების ეროვნული ცენტრის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი, ქალბატონი თეა ნადირაძე. ტრენინგს ესწრებოდნენ უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, აკადემიური პერსონალი, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები და სპეციალისტები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით 2019 წლის 18-19 ივნისს, 3-4 სექტემბერს და 2020 წლის 31იანვარს და 1 თებერვალს ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება”, რომელსაც ესწრებოდნენ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ხარისხის უზურუნვეყოფის სამსახურების

უფროსები და სპეციალისტები, მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი, ჰუმანიტარული, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა, საინჟინრო-ტექნიკური და აგრარული ფაკულტეტების პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 2018 წლის დეკემბერში, გერმანიაში, ქალაქ ბერლინში ASIIN-ევროპის კერძო აკრედიტაციის სააგენტოს მიერ მოწყობილ საერთაშორისო კონფერენციაში "უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ახალი ერა - რას ველოდოთ მომავალში" და 2019 წლის მაისში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სამედიცინო სასწავლებლების აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის, სამედიცინო განათლების ექსპერტების და სხვა დაინტერესებული სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის ჩატარებულ AMEE-ESME-ის სასწავლო კურსი - ტრენინგზე, რომელსაც უძღვებოდა AMEE-ს დირექტორატის წევრი, სამედიცინო განათლების საკითხებში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კონსულტანტი, პროფესორი ტრევორ გიბსი. 24-28 აგვისტოს მედიცინის ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო AMEE 2019 კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა ავსტრიის ქალაქ ვენაში.

2019 წლის ოქტომბრიდან იანვრის ჩათვლით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყო მიმართულებების მიხედვით ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების, პროგრამების ხელმძღვანელების აქტიური ჩართვა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში თემებზე: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან სწავლის შედეგების შსაბამისობის დადგენის მეთოდოლოგია“, „თვითშფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება“, „დარგობრივი მახასიათებლების გამოყენება მედიცინის პროგრამების აკრედიტაციის დროს“ (16 ტრენინგი).

ხუს-ის უფროსმა მონაწილოება მიიღო ტრენინგში, რომელიც დაკავშირებული იყო 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ელექტრონული ანკეტა-კითხვარების შევსება/წარდგენასთან.

ხუს-მა ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურთან ერთად დაგეგმა და განახორციელა პლაგიატთან დაკავშირებული ტრენინგები აკადემიური პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის. ტრენინგების მიზანი იყო პლაგიატის, მისი ფორმების და უნივერსიტეტში პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების (აკადემიური საბჭოს დადგენილება №51(17/18) 9.02.2018) გაცნობა და ანტიპლაგიატის პროგრამაში Turnitin ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების პროცესის სწავლება.










პლაგიატი

აწსუ ჩართულია Erasmus+ პროექტ INTEGRITY (აკადემიური კეთილსინდისიერება), რომლის მიზანია ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს პლაგიატის შემთხვევების გამოვლენას, აღმოფხვრასა და პრევენციას.

2018-2019 სასწავლო წელს აწსუ-ში დაიწყო სტუდენტების მიერ შესრულებული წერითი დავალებების (სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“ ფარგლებში), სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების გატარება ანტიპლაგიატის „Turnitin” პროგრამაში, რითაც აწსუ-მ დაიწყო კვლევით და სასწავლო საქმიანობაში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მხრიდან აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის კულტურის ამაღლება.

2018-2019 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში ანტიპლაგიატის „Turnitin” პროგრამაში შემოწმდა სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ ფარგლებში შესრულებული წერითი დავალება. პროცესში ჩართული იყო 6 ფაკულტეტის 920 სტუდენტი.

2019 წლის საგაზაფხულო სემესტრში განხორციელდა სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატის აღმომჩენ პროგრამა Turnitin-ში გატარება. აღნიშნულ პროცესში ჩართული იყო 6 ფაკულტეტი: აგრარული ფაკულტეტი, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, პედაგოგიური ფაკულტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი. შემოწმდა 213 სამაგისტრო ნაშრომი (შედეგები აისახა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიერ გაკეთებულ ანალიშში). განსაკუთრებით აქტიურად ამ პროცესში ჩართული იყო ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებთა ფაკულტეტის სტუდენტები (საერთო რაოდენობის 50%).

2018-2019 სასწავლო წლის ბოლოს პლაგიატზე შემოწმდა 6 სადოქტორო ნაშრომი.

2019 წლის საგაზაფხულო სემესტრში ანტიპლაგიატის „Turnitin” პროგრამაში შემოწმდა სტუდენტური კონფერენციისთვის მომზადებული თემები. ფაკულტეტების მიხედვით შეირჩა დაახლოებით 40 ნაშრომი და შემოწმების შედეგების შესახებ ინფორმაცია მიწოდებულ იქნა შესაბამისი ფაკულტეტებისთვის.

ანტიპლაგიატის „Turnitin” პროგრამაში წერითი დავალებების, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების გატარებას წინ უძღოდა ტრენინგები პლაგიატის გამოვლენის მექანიზმების შესახებ და დავალებების „Turnitin” პროგრამაში შემოწმების მექანიზმებთან დაკავშირებით, რომელიც ორგანიზებული იყო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. გადამზადდა 122 აკადემიური პერსონალი (https://atsu.edu.ge/index.php/fa-news-geo)

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის შეხვედრები ფაკულტეტებზე

2019 წლის სექტემბრიდან ნოემბრის ჩათვლით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურთან ერთად შეხვდა ფაკულტეტების ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალს. შეხვედრებზე განხილული იყო ავტორიზაციის მონიტორინგისთვის მზადების სამოქმედო გეგმა, კერძოდ, შეხვედრებზე განხილული იყო: 1) აკადემიური პერსონალის გამოქვეყნებები რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში. 2) აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების (CV) განახლება; 3) ფაკულტეტის კვლევითი პროფილის გადახედვა; 4) აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან, კერძოდ, პლაგიატთან დაკავშირებული ღონოსძიებები (ანტიპლაგიატის პროგრამაში ნაშრომების გატარების შესახებ).

გარე და შიდა მობილობები

2019-2020 სასწავლო წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორის მიერ საშემოდგომო და საგაზაფხულო მობილობების პროცესში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: გარე მობილობა, შიდა მობილობა, მაინორის მობილობა, რიგგარეშე შიდა მობილობა და პედაგოგიურ ფაკულტეტზე სტუდენტთა შიდა რიგგარეშე მობილობა. მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით:

საშემოდგომო მობილობი სპროცესში გარე მობილობით გადმოვიდა 176 სტუდენტი შესაბამის ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე; შიდა მობილობით ისარგებლა 141 სტუდენტმა; მაინორ პროგრამებზე მობილობა განახორციელა 45 სტუდენტმა; რიგგარეშე შიდა მობილობით ისარგებლა 14 სტუდენტმა (რაც გამოწვეული იყო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლით და გრანტით სარგებლობის პირობის შეზღუდვით). რაც შეეხება საგაზაფხულო მობილობას - გარე მობილობით გადმოვიდა 124 სტუდენტი, შიდა მობილობით ისარგებლა 182

სტუდენტმა. მაინორ პროგრამებიის შეცვა განახორციელა 50 სტუდენტმა, რიგგარეშე შიდა მობილობით ისარგებლა 2 სტუდენტმა, ხოლო რიგგარეშე გარე მობილობით 3-მა.

გარდა მობილობებისა, სექტორმა უზრუნველყო სასწვალო წლის მანძილზე სახელმწიფო, საუნივერსიტეტო და VTB ბანკის სტიპენდიების გაცემისთვის შესაბამისი ბრძანებების მომზადება.

ხუს-მა ფაკულტეტების დეკანებთან და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, ასევე ადმინისტრაციასთან ერთად გადახედა უნივერსიტეტში სტიპენდიის დანიშვნის წესს და შეიტანა მასში ცვლილებები, კერძოდ, განსაზღვრა სტუდენტისთვის სტიპენდიის მინიჭების კრიტერიუმები აკადემიური მოსწრებისა და სხვადსხვა სახის აქტივობების გათვალისწინებით, დოკუმენტში ასევე განისაზღვრა უნივერსიტეტში ფაკულტეტების მიხედვით სახელმწიფო, საუნივერსიტეტო და VTB ბანკის სტიპენდიების გაცემის მექანიზმი.

მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორის მიერ საანგარიშო პერიოდში მომზადდა უნივერსიტეტის არქივთან მჭიდრო თანამშრომლობით რამდენიმე ათეული დოკუმენტი წარსადგენი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დიპლომების აღიარებასთან დაკავშირებით.

2019 წლის 5 აპრილს აწსუ-ს აკადემიურმა საბჭომ 2018 წლის 4 ივნისის დადგენილებაში №94 (17/18) „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ შეიტანა ცვლილებები, რომლის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სტუდენტებს ეძლევათ რეკომენდაცია სწავლა განაგრძონ მოდიფიცირებულ პროგრამაზე, ხოლო გაუქმების შემთხვევაში სწავლა განაგრძონ თავსებად, მომიჯნავე, მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე, ან მობილობის წესით გადავიდნენ სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

ანკეტა კითხვარის შევსება

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ფაკულტეტების დეკანებთან თანამშრომლობით შეავსო და აკადემიურ საბჭოზე განიხილა და დამმტკიცა ანკეტა კითხვარი ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის და ანკეტა კითხვარი საერთო სამაგისტრო გამოცდისთვის. ანკეტა-კითხვარების შევსების დროს განთავლისწინებული იყო ეროვნული გამოცდების ახალი ფორმატით ჩატარების საკითხი (გამოცდების ჩატარება სამ სავალდებული საგანში. სავალდებულო მესამე საგანი განისაზღვრა მინისტრის ბრძანებით---, გამონაკლისია მედიცინის მიმართულების საგნები, სადაც სავალდებულო მესამე საგნად განისაზღვრა ბიოლოგია და უნდა დაემატოს მეოთხე არჩევით საგანი ქიმია ფიზიკა მათემატიკიდან).

დოქტორანტურა

უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ავტორიზაციის ექსპერტების რეკომენდაცია „ჩამოაყალიბეთ რეგულაციები რიგი სადოქტორო პროგრამების გაუქმებასთან დაკავშირებით“ და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მოამზადა ცვლილება, რომელიც შევიდა აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის დადგენილებაში №94 (17/18) „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე სადოქტორო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა უფლება მობილობა განახორციელოს მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამაზე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დადგენილებით და სადოქტორო პროგრამით დადგენილი დამატებითი მოთხოვნების გათვალისწინებით. იმავე წესის მიხედვით, პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში აწსუ ითვალისწინებს სტუდენტთა კანონიერ ინტერესებს, ხელს უწყობს შიდა და გარე მობილობის პროცესში და კონსულტირებას უწევს შესაბამისი პროგრამების შერჩევაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ასევე მოამზადა და აკადემიურ საბჭოს წარუდგინა ცვლილება, რომელიც განხორციელდა აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის №62(17/18) დადგენილებაში „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ”. ცვლილება ასახავდა სადოქტორო ნაშრომის პლაგიატზე გატარების პროცედურას.

ხუს-მა დაგეგმა და განახორციელა სადოქტორო პროგრამების, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებთან და დოქტორანტებთან პლაგიატთან დაკავშირებული შეხვედრა, სადაც ხუს-ის უფროსმა დოქტორანტურის განყოფილების უფროსთან ერთად მათ გააცნო პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები.

ვებ-გვერდი

ხუს-ის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილებამ 10.09-დან 18.09-ის ჩათვლით უზრუნველყო შესაბამისი სამსახურის დახმარებით უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ფაკულტეტების მიხედვით 2019-2020 სასწავლო წელს განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების განთავსება.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ასევე განთავსდა კატალოგი, რომელშიც უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების შესახბ ჩადებულია დაინტერესებული პირებისთვის აუცილებელი ინფორმაცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით №62 (07.09.2018) სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

ავტორიზაციაზე წარდგენილი იყო 9 მოდულური პროგრამა.

პროფესიული პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებების გამო აწსუ-მ 2019 წლის თებერვალში ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაში მოიყვანა პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამები „მხატვრული ქსოვილები“, „ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება“, „საბაჟო საქმე“ და წარადგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით #08 (19.03.2019) სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწსებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის #62 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

უსდ-მ გააგრძელა მუშაობა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიმართულებით. აღნიშნულთან დაკავშირებით 2019 წლის მაისის და ივნისის თვეებში შედგა 4 სამუშაო შეხვედრა ადმინისტრაციასთან და განისაზღვრა რომელი ფაკულტეტები და რამდენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამზადებდა ავტორიზაციაზე წარსადგენად, შემოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მათი განხორციელებისთვის და დაიგეგმა პროგრამების ავტორიზაციისთვის მომზადების ეტაპები. 2019 წლის მარტიდან ივნისის თვის ჩათვლით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილების პროფესიული პროგრამების სექტორმა ინტენსიურად ითანამშრომლა პროგრამების ხელმძღვანელებთან და პროგრამები მოიყვანა ჩარჩო დოკუმენტებთან შესაბამისობაში. 2019 წლის 9 და 12 ივლისს აწსუ-მ განათლების ხრისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ავტორიზაციაზე წარადგინა 10 მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

1. ბუღალტრული აღრიცხვა
2. საოფისე საქმე
3. საფინანსო სერვისები

საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი

1. ელექტროობა
2. მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება
3. მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება
4. მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება
5. საავტომობილო გზების მშეენელობა
6. სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი:

1. ქარგვა

აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან პროფესიული საგანმანათლებლო დაწსებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებით #184 და 185, 17.09.2019 სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭა უფლება დამატებით 9 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების (გარდა პროფესიული პროგრამისა „ქარგვა“).

ამ ეტაპზე აწსუ ახორციელებს 19 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.